საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდაძე ანა პავლეს ასული

Image not found or type unknown

ა. კალანდაძე

კალანდაძე ანა პავლეს ასული (15. XII. 1924, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 11. III. 2008, თბილისი), პოეტი. საქართვ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1993), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). თბილისის საპატიო მოქალაქე (1983). 1946 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1952-იდან მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში. სხვადასხვა დროს იყო საქართვ. სახელმწ. ენის მუდმივი კომისიის, აგრეთვე მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1946, ლექსების პირველი კრებული – 1953. ამ კრებულმა მას პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოუტანა. ამის შემდეგ მისი პოეტური კრებულები მრავალჯერ გამოიცა (1957, 1960, 1967, 1976, 1984, 1985). 1995 გამოიცა ორტომეული, რ-შიც, ორიგინალური ლექსების გარდა, დაბეჭდილია ს. მალარმეს, ა. პუშკინის და სხვ. პოეტური თარგმანები, აგრეთვე წერილები, ესეები, მოგონებები.

კ-ის პოეზია უაღრესად თვითმყოფადია. მან XX ს. ქართ. პოეზიაში შემოიტანა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. მის ლექსებს ახასიათებს სინატიფე და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურა. ნებისმიერ თემაზე დაწერილი მისი ლექსები გამოირჩევა ინტიმური ელფერით, სადა სტილითა და ჰარმონიული ფორმით. სინამდვილე **კ**-ის ლირიკაში მხოლოდ განწმენდილი სახით აისახება. მაღალი პათეტიკისა და წრფელი გულითადობის შეზავება ზომიერი არქაიზაციისა და სასაუბრო ინტონაციების შერწყმით მიიღწევა. ასე გახმოვანდა მის ლირიკაში ომის შემდგომი მშვიდობიანი ცხოვრების დაწყების თემა („კარში გამო, ჭია-

ჭიამარია", 1946); ბუნების განცდა („თუთა", 1945; „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა", 1946; „ბეთანიის გზაზე", 1954). ისტორია ანას ლექსებში არასოდეს გვევლინება გაყინული სახით და თანადროულობაც პოეტის წარმოდგენაში ხშირად იწვევს გარდასულ დროთა ცხოველ მოგონებას („შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო"; „ასეთი დარი თუ იყო მაშინ", ორივე 1945). **ჯ**-ის პატრიოტიზმი გამოხატავს ერის არსებით თვისებათა – სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების ორგ. განცდას („საქართველოო, ლამაზო", 1945; „ფეხი დამადგით", „მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს", ორივე 1959). სიყვარული ანას შემოქმედებაში განუმეორებელი, კდემით აღსავსე, ამაღლებული და სევდანარევი რომანტიკული განცდაა.

ჯ-ის ლექსები თარგმნილია ინგლ., ფრანგ., გერმ., რუს., პოლ., თურქ., არაბ. და სხვ. -ენებზე. რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია მიენიჭა ციკლისათვის „თავაწეული ქართული დროშები" და მთელი რიგი ლექსებისათვის. არის გ. ტაბიძის სახ. პრემიის (1985), საქართველოს სახელმწ. პრემიის (1997, პუბლიცისტიკის დარგში) ლაურეატი; ქართ. ლიტრაში შეტანილი წვლილისათვის ლიტ. პრემია „საბას" საპატიო ლაურეატი (2006). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1994).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

თხზ.: რჩეული, თბ., 1976; ლექსები, რედ. გ. კვარაცხელია, თბ., 2014.

ლიტ.: ანას, რედ. გ. კვარაცხელია, თბ., 2014; ა ს ა თ ი ა ნ ი გ., ოთხტომეული, ტ. 3. თანამდევი სულები, თბ., 2002; ზ ო ი ძ ე შ., ანა დედოფალი, ბათ., 2001; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს., ანა კალანდაძე და პოლიტიკური პოსტმოდერნიზმი, თბ., 2018; ს ო რ დ ი ა ლ., ანა კალანდაძის პოეზია, თბ., 2005; ჩ ხ ე ი ძ ე ნ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1969; ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი თ., პოეზია – სიბრძნის დარგი, თბ., 1978; ჭ ი ლ ა ძ ე თ., წერილები, თბ., 1978.

გ. ასათიანი